სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

59055941857118

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N181218591

რეგისტრაციის თარიღი

02.10.2018 წ

ნოტარიუსი: შალვა ფაღავა
მისამართი: თბილისი, მოსკოვის გამზირი N40
ტელეფონი: 2707904

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი
საქართველო, ქ. თბილისი

მე, შალვა ფაღავას, ნოტარიუსს ქ. თბილისში, მოსკოვის გამზირის №40-ში, სანოტარო ბიუროში, მომმართა **ნონა აშოტის ასული მანასიანმა** და განაცხადა, რომ ის არის **შპს „მოსკოვი"- ის დირექტორი** და სურს საზოგადოების სახელით შეადგინოს მინდობილობა, რის საფუძველზეც გარკვეულ უფლებამოსილებას მიანიჭებს – **ირინე მკრტიჩიანს.**

დავადგინე **ნონა აშოტის ასული მანასიანის** პირადობა, ქმედუნარიანობა, უფლებამოსილება და ნების გამოვლენის ნამდვილობა. შემდეგ მინდობილობა წავუკითხე **ნონა აშოტის ასული მანასიანს და განვუმარტე ამ მინდობილობის** შინაარსი და სამართლებრივი შედეგები. **ნონა აშოტის ასული მანასიანმა** წაიკითხა და განაცხადა, რომ მინდობილობა შეესაბამება საზოგადოების ნებას და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი ამ მინდობილობას.

მინდობილობა

ორიათას თვრამეტი წლის ორ ოქტომბერს **ნონა აშოტის ასული მანასიანმა** (დაბადებული 02.02.1971 წელს საქართველოში, პასპორტი № 71 3610551, გაცემის თარიღი: 15.03.2011 წ. გამცემი ორგანო: რუსეთის საიმიგრაციო ფედერალური სამსახური (ფმს) 77313), მისი განცხადებით, მცხოვრები რუსეთის ფედერაციის ქ. მოსკოვში, ზნამენსკიე სადკის ქ. სახლი №3, კორპუსი №2, ბინა №208-ში) **შპს „მოსკოვი"- ის** ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილმა პირმა, დირექტორმა **(თანახმად სამეწარმეო რეესტრიდან ამონაწერისა (ელექტრონული ასლის), მარეგისტრირებელი ორგანო: სამგორის რ-ის სასამართლო, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B15238952, 21/12/2015, 19:06:20, საიდენტიფიკაციო ნომერი: 208152906, იურიდიული მისამართი: საქართველო,** თბილისი,ისანი-სამგორის რაიონი, მოსკოვის გამზირი, IV კვარტალი, კორპუსი №1), **ირინე მკრტიჩიანს** (დაბადებული 29.11.1977 წელს თბილისში, რეგისტრირებული თბილისი ფერიცვალების ქ. N 40-ში. პირადობის მოწმობა №13IL68529, პირადი № 01011010657, გაცემული იუსტიციის სამინისტროს მიერ 20.06.2015 წელს) მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება:

ირინე მკრტიჩიანმა წარმოადგინოს **შპს „მოსკოვი"-ის (ს/ნ 208152906)** ინტერესები სახელმწიფო სამსახურებთან (დაწესებულებებთან), ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან (საკრებულო, მერია, გამგეობა), თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურთან, მერიის ზედამხედველობის სამსახურთან, შემოსავლების სამსახურთან (საგადასახადო ინსპექციასთან) ურთიერთობაში.

ირინე მკრტიჩიანმა შპს „ მოსკოვი"-ის (ს/ნ 208152906) კუთვნილ უძრავ ქონებაზე, მდებარე: თბილისი, მოსკოვის გამზირი, IV კვარტალი, კორპუსი №1, ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობის ან დემონტაჟი/რეკონსტრუქციის, სარემონტო სამუშაოების ჩატარების მიზნით შესაბამისი/სათანადო საბუთები მიიღოს და შესაბამისი/სათანადო საბუთები წარუდგინოს თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურს. **ირინე მკრტიჩიანმა** ხელი მოაწეროს ამისათვის საჭირო საბუთებს და განახორციელოს ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებულია აღნიშნული დავალების შესრულებასთან.

მინდობილობა გაცემულია განუსაზღვრელი ვადით და ძალაშია მის სრულ გაუქმებამდე.

მინდობილობა შედგენილია **ოთხ**, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად.

"სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადები"-ს შესახებ საქართველოს მთავრობის 29.12.2011 წლის №507 დადგენილების 31-ე მუხლის შესაბამისად გადახდილია საზღაური 10 (ათი) ლარი + 2 (ორი) ლარი ელექტრონულ სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის საფასური (აღნიშნული დადგენილების (წესის) 39-ე მუხლის თანახმად) სულ 12 (თორმეტი) ლარი.

შპს „ მოსკოვი"-ის დირექტორი
ნონა აშოტის ასული მანასიანი

ნონა აშოტის ასული მანასიანი

ნოტარიუსი

/შალვა ფაღავა/